1877—1894

№ 1

ი, 1 იანვარი 1894

ივერია

F 1/2 №12899

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

	მან. კ.	თვე	მან. კ.
	10 —	6	6 —
	9 50	5	5 50
ი.	8 75	4	4 75
	8 —	3	3 50
* * * ჩვენ	7 25	2	2 7
ვნი „ქ	6 50	1	1 5

ქართველი ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ობისა“,
ოგიურასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს,
მოცერს.

„ივერია“

გამოვა 1894 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІЯ“.

ქართული თეატრი
კვირას, 2 იანვარს
წარმოდგენილი იქნება:
ლეო წარმოდგენა ქართული თეატრის დაფუძნების (1850 წ.)
სახსოვრად
ვაროვისა, ვ. მესხიევისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით:

I
გაყრა
დია 4 მოქმედ., თავ. გ. ერისთავისა.

II
სადილი მარშლისას
მოქ., გადმოკ. თავ. რ. ერისთავის მიერ.

III
არ მერგება, არ შემერგება
კომ. 1 მოქმ. ვალ. გუნისი.

IV
აპოთეოზი
ცხოველი სურათები.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 7½ საათზედ.

3865

ხუთშაბათს, იანვრის 6-სს, 1894 წ.
ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში
გამართული იქნება

ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ
დასაწყისი საღამოს 9 საათზედ
ფასი ბილეთისა 2 მან. და 10 კაპ.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოუჭრელის კაბებითაც დაესწრონ.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

(3—2)

„მზა-მეტყველება“

თხზ. ანტონ კათალიკოზისა

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი მანათი და ათი შაური.

(5—1)

ტფილისი, 1 იანვარს

სანამ ახალს წელს მივეგებებოდეთ და ჩვენს გულითადს სურვილს განვაცხადებდეთ, სანამ ამ ნორჩსა და უმანკო არსებას მოვახსენებდეთ, რა გვესაჭიროება და რას მოველით იმისაგან,—სჯობია ერთი გასულს წელსაც ჯერ მოკლედ გადავავლოთ თვალი და აღვნიშნოთ მაინც შარშანდელის ჩვენის ცხოვრების უმთავრესნი გარემოებანი.

1893 წელი ქართველის ერისათვის, უთუოდ, ფრიად საყურადღებო და დაუვიწყარი წელიწადია. ამ წელში დაიბადა ჟურნალი „კვალი“ და თავი უკვე იჩინა კიდეც და მეორე ჟურნალი „მოამბეც“ დღეს შემოსდგამს ფეხს ჩვენში და გვეტყვის, გწყალობდეთ ღმერთიო. ამას გარდა, გასულს წელს მომეტებულად გახშირდა სხვა-და-სხვა წიგნების ბეჭდვა, არა მარტო ტფილისში, არამედ ქუთაისში, ფოთში, ოზურგეთში და სხვაგან. ცხადია, რომ ასეთი აღმატებული დასტამბვა წიგნებისა და გამრავლება ჟურნალ-გაზეთისა გამოწვეულია თვით საზოგადოების საჭიროებისაგან. ცხადია, რომ თვით საზოგადოება თხოულობს ქართულს წიგნს და იქნება სხვა-და-სხვა აზრის გამომთქმელს დასტამბულს სიტყვასაც. საზოგადოდ, 1893 წელი—მწერლობისა და მწერალთა წარმატებისა და პატივის-ცემის ხანად უნდა დაისახოს, რადგანაც ყოველის ჩვენის ქვეყნის კუთხითგან და გარეშე ადგილებითგანაც მოსდის რედაქციას უხვი შემოწირულება სალიტერატურო ფონდისა, ბარათაშვილისა და რუსთველის ძეგლისთვის და სხ. და სხ. ასე წარმოიდგინეთ, ჩვენის უკვდავის მგოსნის თაყვანის-მცემელთ სტამბოლშიც-კი შეუკრებიათ თავისი წვლილი და მოუწოდებიათ თავის სამშობლოსათვის.

როდესაც ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოებანი, რომელნიც ამტკიცებენ ქართველ საზოგადოების გამოღვიძებას და ხალისს საერთო საქმეთა მიმართ, რასაკვირველია, ერთს წამსაც არ დავივიწყებთ ქართულის თეატრის მიმართ გამოცხადებულს თანაგრძნობას საზოგადოებისგან. ტფილისისა და ქუთაისის თეატრის საქმე ჩინებულად ამტკიცებს, რომ ქართული დრამატიული ხელოვნება ღირსეულად დაჯილდოვებული იქნება, თუ-კი თეატრის საქმეში მონაწილენი რიგიანად და შეგნებით მოეკიდებიან თავისს მოვალეობას.

ყოველს ამას თავისი დასაბამი წინა წლებშიაც ჰქონდა და ეხლა თუ მოვიხსენიეთ, მარტო იმისათვის, რათა გვეჩვენებინა, რომ ამ მხრით ცოტად თუ ბევრად ვიმატეთ. ხოლო განსაკუთრებულად და საგულისხმიეროდ ის უნდა შეინიშნოს, რომ დღეს ყველგან შეერთებულის წარმოების, მუშაობისა და მოქმედების მნიშვნელობა საკმაოდ შეიგნო ქართველმა ერმა. რაც-კი რამ ამ წელს საქმე დაწყებულა, ყოველივე ის გვიმტკიცებს, რომ ქართველობამ იცნო და იგრძნო საჭიროება ეკონომიურ მოედანზედ გამოსვლისა და აქ შრომისა და გარჯისა.

ამ წელს დაიბადა აზრი იმასი, რომ ქვა-გუნდის საქმე, რომელმაც საქვეყნო ბაზრისაკენ თავისი გზა უკვე ცოტად თუ ბევრად გაიკვლია, ხელთ იგდოს ჩვენის ქვეყნის საზოგადოებამ და ეს წყარო თითქმის დაუშრეტელის სიმდიდრისა ჩვენის ქვეყნის შვილებისათვის იქმნას და არა სხვისთვის. ეს აზრი დღეს ჩვენ შორის დადის და თანამგრძნობელთ ჰშოობს ამის დამწყებთა მხნეობის წყალობითა. მეორე წყარომ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრისამ, სახელდობრ, კახეთის ღვინის წარმოებამ მიიზიდა ყურადღება ქართველთა და შესდგა კიდეც საზოგადოება კახეთის ღვინის მწარმოებელთა, იმავ აზრით, რომ თუ კახურ ღვინის აღებ-მიცემობა მოზდილი ლუკმაა, ისევ სჯობია ჩამოვარდნილი ლუკმა ჩვენს ჯამშივე ჩავარდესო. ამისი პროექტი უკვე შემზადებულია მთავრობის წინაშე წარსადგენად და დასამტკიცებლად. შემზადდა პროექტი „სასოფლო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა“ და უკვე წარედგინა მთავრობას დასამტკიცებლად. შემზადებული იქმნა მთავრობისათვისვე წარსადგენად პროექტი გლეხთა სამეურნეო კაპიტალისა, რომელსაც საგნათა აქვს განაძლიეროს წარსამატებლად მიწათ-მოქმედება და გააღონიეროს ქონებით გლეხ-კაცობა ტფილისის გუბერნიისა. იგი პროექტი უკვე თავის გზას დაადგა და მსვლელობაშია საცა ჯერ არს.

ეს მაგალითები საკმაოა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ჩვენი ყურადღება და წყურვილი მივაქციეთ უაღრესობას ეკონომიურ საჭიროებისას და ამ, აქამდე დავიწყებულმა, დიდმა საქმემ, ეხლა ჩვენში ფეხი მოიკიდა და ჩვენს გონებასა და ცნობიერებას სამოქმედოდ სძრავს და ასაქმებს. ჩვენ ზოგიერთი სხვა ამის მგზავსი მაგალითი აქ აღარ ვახსენეთ, რადგანაც ზემოხსენებულიდამაც ცხადად სჩანს, რომ თუ 1893 წელი რითიმე მადლობით მოსახსენებელია ჩვენ მიერ, სწორედ იმ მხრით, რომ ეს ახალი მოძრაობა ქართველთა საზოგადოებისა უფრო თვალსაჩინოდ და აშკარად დაგვანახვა წარსულმა წელმა.

ჯერ ეს ქება ვაკმაროთ წარსულსა წელს, რომელსაც ბევრი ცუდიცა სჭირდა. ვაკმაროთ იმიტომ, რომ დღეს იგი უკვე მკვდარია და მკვდა-

---

ფელეტონი

ოხვრა

(სადღესასწაულო სურათი)

> ოხვრა არის შვება უბედურისა.
> ნ. ბარათაშვილი.

წორედ ის დრო იყო, როდესაც ალაცი-კი გამოფხიზლდება ხოლმე და შფოთვა-ბორგვას დაიწყებს. ვლი ახალს უთმობდა ადგილს და ხალის მისაგებებლად ხალხის ჩვეულება მოკაზმვასა და პურ-მარილის ონის ზრუნვაში იყო. ჰყინავდა. უხვად ქვა და მიწა ისე მაგრად შეყინოდა ერთმანერთს რომ თითქოს გაერთებულიყო და გალიპულიყო. ჰაერში მშრალის ყინვის სუსხი ტრიალებდა და მოსიარულეთ ცხვირ-პირს უთოშავდა.

ის არის დღე იღეოდა და ნათელ ბინდის ნისლი მეჰპარვოდა.

კვრაძალი იყო. ცალკე სიცივითა და ცალკე საქმის ზრუნვით ფეხ-აჩქარებით მოსიარულე ხალხს შორის ვიღაცა პაწია ათის-თორმეტის წლის ბავშვს უსინათლო მოჰყავდა. მოხუცს მარცხენა ხელი ბავშვის მხარზედ დაეყრდნო, მარჯვენაში-კი მთელი შეკვრა წმიდა სანთელი ეჭირა. პაწია უსინათლოს ყოველ დუქნის წინ აყენებდა, კარებს აღებდა ოდნავ და ან წყევა-კრულვით ისტუმრებდნენ,—„გასწი, გაიარე, სანთელი არ გვინდაო, მუშტარს გზას ნუ უკრავო“, ან ერთს წყვილს სანთელს ჩამოართმევდნენ და ორ გროშიანს გადმოუგდებდნენ. მოხუცი სიფრიფანა ძველს ახალუხში იყო ჩაცმული, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, სიცივეს შესჩვეოდა და არად იმჩნევდა. ესევე არ ითქმის მის წინამძღოლის შესახებ. პაწიას ორივე გათოშილი ხელი პირთან მიეტანა და თან მიდიოდა და თან, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, პირის ორთქლით ითბობდა ხელებს. ჩითის სამოსში გახვეულს ზურგს ხშირად შეინძრევდა და მხრებს ძალზედ იშმუშნიდა ხოლმე, რომ მოძრაობაში მოეყვანა გაყინული სხეული; ნაცადი ჰქონდა, რომ მოძრაობა სითბოს აჩენსო. არც მისი ფეხები იყო სიცივის მწვავ სუსხს აცილებული, რომელს დუქანთანაც შედგებოდა ბავში, ფეხებს ღონივრად შეაბაკუნებდა ხოლმე ისევ იმავე სითბოს გამოსაწვევად.

ასე დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა ეს ორნი არსებანი, ცხოველნი აღმნიშვნელნი დროთა უკუნეთში სრბოლისა და ცვალებადობისა, შეუჩერებლივ და შეუყენებლივ. ღამე მოიპარებოდა და ჩქარა უნდა ევლოთ, რომ სანთელი დროზედ მიეწვდიათ ღვთის-[illegible] მედუქნეებისათვის. წარმავალი მოხუცი, სიბერით თვალის სინათლეს მოკლებული, მომავალს ნორჩს დაჰყრდნობოდა და იმის იმედით-ღა ჰსულდგმულებდა.

პაწია ყოველს შედგომაზედ გაოცებით აშტერებდა თვალს დუქნის სახარბიელოდ მოწყობილს სარკმლებს. ყოველი დუქანი სადღესასწაულოდ ისე გაელამაზებინათ და ისე აევსოთ სხვა-და-სხვა ფერადის, თვალის დამატყვევებელ ხმელის ხილით რომ ბავშვის თვალს ხან ერთი სარკმელი იტაცებდა თავისკენ და ხან მეორე. ხმა-ამოუღებლად სტკბებოდა ბავში ამ სიმშვენიერით, თუმცა იმის სიცივით გალურჯებული სახე ნათლად გამოსთქვამდა მის სიტკბოებასა და სიამოვნებას. ხმა-კაკმენდილი იყო მოხუციც. ამ სიამოვნებას მოკლებულს უსინათლოს თავისი გულისთქმა, გულის ვარამი გულშივე ჩაეხვია და გონებით შეჰლაპარაკებოდა. მისთვის არც დღე იყო, არც ღამე, მუდმივი წყვდიადი არსებობდა და ვერავითარი თვალის საცთუნებელი ვერ გაუფანტავდა ფიქრთა ბურუსს, რომელშიაც გახვეული იყო მოხუცი.

ამათ მიუახლოვდნენ ერთს ტკბილეულობის დუქანს, სადაც ადამიანის გონებას მუშტრის თვალისა და გულის, უფრო-კი ჯიბის, მოსანადირებლად [illegible] ათასის სახისა და ფერის სანუკვარი გაეკეთებინა, ერთი მეორეზედ უფრო უკეთესი, უფრო მოხდენილი და მშვენიერი. მერე ისეთის გემოვნებით იყო ყოველივე დალაგებული, რომ თვალი ადამიანისა იბნეოდა და არ [illegible], თითოეულის სანუკვარის სიმშვენიერით ცალკედ დამტკბარიყო, თუ ყველასით ერთად. ამ სარკმელმა სრულიად დაატყვევა ჩვენის პატარას თვალი და გული. თვალი იმათის ცქერითა სტკბებოდა და გული ნატვრას აეჩქამებინა. კარგა ხანს იდგა ყმაწვილი ასე ტყვე-ქმნილი.

— რა იყო, შვილო, რას დასდექი? ჰკითხა მოხუცმა.

— არაფერს, მამილო, შაქრის ყინულსა ვსინჯავ. რომ იცოდე, მამა, რა მშვენივრებია!..

მოხუცი მიუხვდა შვილის სურვილს და ძალა აღარ დაუტანებია გზის განსაგრძობად, მორჩილად შესდგა და უცდიდა, როდის დასტკბებოდა პატარა ხილის ცქერით.

იდგა და გონებით წარსულში ჰქროდა, იმ წარსულში, როდესაც ისიც ადამიანთა შორის არ იყო გამორჩეული, როდესაც ისიც სტკბებოდა სიხარულით და, ჯან-მრთელობასთან, თვალის ჩინიც მრთელი და ნათელი ჰქონდა. ჰო, სწორედ ეს დრო იყო, ეს ხანი, როდესაც დანიშნულთან დადიოდა, ცხონებულ ელისაბედთან...

რი, ხომ მოგეხსენებათ, ან კარგად უნდა მოიხსენიოს კაცმა, ან სულ არა.

მეველე

საახალწლოდ.

(ფშაური დალოცვა)

გწყალობდეთათ ლაშარიო, ხახმატიო, გმირ-კოპალეო, ზერ-ბადურაო, გუდანიო, იახსარაო, გწყალობდეთათ მაღალი ღმერთიო, იმ დიდის ხელმწიფის დავლაათიო: თაობითაო, დასტურ ხელოსანთაო, იქ მყოფ დარბაისელთაო მხვევსაო და მხვეწსაო; სიხარულად გაგიხადოსთაო ზღვნობაიო, ყმობაიო; გიშველოსთაო, გიმეშველისთაო, ლაღის მტრისადაო, მწარის სიკვდილისათაო, უზიანად შეგინახოსთაო: კაცითაცაო, ქალითაცაო, საქონლითაცაო; კაცსა კას დროს მოგიმატოსთაო, თები, სოფელ, ქალაქ აგიშენოსთაო; მსჯელთა მსჯელობა ნუ დაგიკარგოსთო, დასტურ გწყალობდესთაო; მშვიდობით დადებულ უღელ მშვიდობით გადაგაღებიოსთაო, მემუხლებსა მუხლებ შეგარჩინოსთაო, მტერზედ მოგახმაროსთაო; ღვინიანებსა ხელთა გაამოსთაო, მრავალ ახალ-წელ გაგითენოსთაო. მე გლოცნითაო, თქვენსამ კვნესამეო, მღვთისამ-კი პირითა დაილოცებითაო.

დამაკვირდი

ძვირფასია დრო; თითოეული წუთი თითოეული ძაფია ჩვენის სიცოცხლის ქსოვილისა.

რიშარი

**

ადამიანი-კი არ ატარებს დროს, დრო ატარებს ადამიანს.

სუტორი

**

საქმე საწყაო დროისა და ხანისა.

ჰიპელი

გეურქას მასლაათი

(საახალწლოდ)

ძველებურად ტახტ-მუთაქით მორთულ ოთახში დიდი სტოლია გაშლილი, რომელსაც შემოსხდომიან მოხუცი გეურქა და იმისის დროის კაცი სერგუა და რომელზედაც მურაბები, გოზინაყი, ხილი და ვაშლები აწყვია. ვაშლებში თეთრი ფულია ჩარჭობილი. იქავე უდგათ არაყი, ბოთლით ღვინო და სამარხვო საჭმელები.

გეურქა. მაშლას!.. ჰხედავ, სერგო, რა ამბავია. მიდის დრო, მიჰგორავს. დღეს ერთი დღე, ხვალ მეორე, მესამე, მეოთხე...და აგერ კვირაც დადგა...ერთი კვირა,ორი...ბ თვეც მოვიდა... ეს თვე, ის თვე და პუპუზ, ახალი წელიწადიც აგეყუდა ცხვირ-წინ ბურნუთის კოლოფსავით, ასე გონია კრუხი იჯდა და წიწილა გამოჩეკაო. ყველ ფერი ესეა ქვეყანაზედ, ცოტა-ცოტაო და მერე, ვაიმე, აღარ არისო. გუშინ ჩემი გოგრა შვილი მეუბნება,—სისულელეა, რის ახალი წელიწადი, ეგ რა დიდი ობაა, ეგეც ისეთი დღეა, როგორც სხვა, ტყუილად ხარჯს რად ვეწევით, გოზინაყებსა და რაღაც მიქარვებისათვის ფულსა ვხარჯავთო. რა იცის, ყმაწვილია, უქრიან. ახრ, იმდენი ჭკუა ვერ უჭრის, რომ ეს დრო ხომ მიდის, კიდევ რადა რჩება-და? იმიტომა რჩება, სერგო, რომ სხვაც მოდის, ერთი რომ მიდის, მეორე მოდის. ახლა ჰკითხე, რომ მიდის, ალბად მიაქვს რამე, არა? წასულს რომ მიაქვს, ამ მოსულსაც არა რომ რამე მოაქვს. ესე რომ არ იყოს, ბარემ დადგებოდა რაღა ერთს ადგილზედ, ტყუილად სიარული ჭკუაში მოსასვლელია.

და რომ ახალს დროს ბევრი ახალი მოაქვს, ეს-კი ისე ნათელია, როგორც ი ა, რომ,—ნათელი დაადგეს იმის სულს!—წუხელი ცხონებული ჩემი ოსანა სიზმარში ვნახე, წამოვდექი ლოგინიდგან და ერთი წყვილი წმინდა სანთელი აუნთე. სულით განათლებულს გული ისევ ჩემკენა აქვს, ვინ იცის, რა ფიქრი აწუხებდა, რომ ისევ აქეთ წამოსულა. ცოდვილი ვარ, სერგო, დიდი ხანია იმის სულისთვის არ მიწირვინებია... ჰო, არაფერი მოაქვსო?.. ჩვენი ძველი დრო ხომ გახსოვს, სერგო? მოიტანე ის დრო და ეხლანდელ დროს გვერდში ტოლ-ტოლად ამოუყენე. გკითხავ ახლა, ჰგავს რითმე?

ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ, ჩვენ დროში ეს ამდენი ენა სად იყო-და? მეც ქართულად ვლაპარაკობდი, შენცა, ისიც, მამაჩვენიც, პაპაჩვენიც, და ვცხოვრობდით ასე. ეხლა? თითო ოჯახში თითო ენაა. ეს კიდევ არაფერი. იმაზედ დიდი ცეცხლი იქნება, რომ ერთ ოჯახში ხუთი ენა შეხვდე: ცოლს ქმრისა ვერა გაუგია-რა, მამას შვილისა, მოდი ბ თქვი თუ,დროს არა მოაქვს-რა. მერე ფრანციცული ენა შეურიეს, რა ვიცი, ლათინია, ბერძნულია. თუ რა ამბავია? განათლებაო. არ ვიცი, ძმაო, ან ჩემი ჭკუა დაძველდა ამ ახალ დროსთან, მოკალვა უნდა, ან მაგათ ჩემი არა ესმით-რა. თუ განათლებაა, მაშ ბაბილონის გოდოლის დროს ენათა არევ-დარევაც, ღვთის რისხვა-კი არა, განათლება ყოფილა რაღა. ერთი ის-ღა აკლიათ, რომ ამ განათლების სახელით თათრული და ურიულიც გვასწავლონ. რას იცინი, იქნება ესეც მოხდეს. ეს ბერძნულს ხომ გვასწავლიან. ბერძნებში გავიზარდე ჩემი სიცოცხლე, სულ ქართულად ლაპარაკობენ, ეს იმათი ენა საიდგან-ღა მოიტანეს-და?!...

უზურში რაც დავბადებულვარ, ათადან-ბაბადან ამ ქვეყანაში ქართველიც სცხოვრობს, სომეხიც, თათარიც, ბერძენიც, ურიაც და რა ვიცი კიდევ რა მილეთის ხალხი. ვიყავით ყველანი პატიოსნად, ვცხოვრობდით, ერთმანეთისა გვესმოდა რამე. ეხლა ღმერთი გამიწყრეს, თუ ქუჩაში რომ ხალხი დადის, ლაპარაკობს და ყურს ვუგდებ,მე იმათი მესმოდეს რამე. ახლა ვიკითხოთ, ეს ენა რა მაქანაა. არა, ის მაქანაა, რომ ეხლა შენ, სერგომ, ჩემი, გეურქას, ლაპარაკი გაიგონო. თუ ერთმანეთისა გვესმის, ეს სხვა ენა რაღა დარდუბალად გვინდა-და?!.. ფული ხომ არ არის, სახლი, მამული, ცოლი, შვილი, რომ შენ შენი გქონდეს, მე—ჩემი. ენა ღმერთს ერთი გაუჩენია. რათა მრევ, ძმაო, მე მესმის ამ კაცისა, ამას ჩემი ესმის, რა მენაღვლება, თუნდა აბაში იყოს, თუნდა ტყის ნადირი. ამან რომ თავისი რა თქვას, მე—ჩემი, შენ—შენი, ეს რომ ის გამოვა, რომ აგური გთხოვო, ისპანახო მომაწოდო, პური მინდოდეს, კირი მომიტანო.

განათლებაა! მე განათლება გამიგონია, ჭკუა ჩაუდოს კაცს თავში, სწავლა მისცეს, თვალები გაუხილოს. ფულის მოგების შნო მისცეს. ახრ, აქ, განათლებაკი, სულ ბნელდება, ერთმანეთისა ღარა გვესმის-რა. იმ დღეს, აი [illegible] გიუა რომ იყო, ძველი უსტაბაში, იმისი შვილი მოსულა ჩემთან. კაი ბიჭს აქებენ, ძაღლების ექიმია, დიდი სწავლა აქვს მიღებულიო. ეხლა ხომ იცი, ჩვენი შვილები ძაღლების ჰექიმბაშობასაც ათს წელიწადსა სწავლობენ და თავის წონა ფულს ჰხარჯავენ, გრანიცაში მიდიან. ესეც დროს ნიშანია რაღა... ჰო, მორთულა, ერთი ამბით შემოვიდა. დავსხედით. ერთმანეთი მოვიკითხეთ. ვა, ერთიც ვნახოთ ეს კაცი წამოდგა, თუ პარუნ გეურქ, მე თქვენს ქალს მაშოს „პრედლაჟენია“ გაუკეთეო. თუ რა გაუკეთე? «პრედლოჟენიაო». ტვინი ამერია. მოხუცებული კაცი ვარ, ცალი ფეხი სასაფლაოში მიდგას, კინაღამ ბოლომისაგან ელდა არ მომივიდა. ვფიქრობ, ჭკუას ძალას ვატან, ვერ გამიგია თუ, რა მოუხდენია. ვებნები, შვილო, გამაგებინე, ერთი რას ამბობ-და? იცინის. ახლა ჩემს გულშიაც ჩამოიხედე-და, სისხლი ყელში მაწვება, ლამის დავახრჩო. თუო მინდა ჩემი ცოლი გავხადოო. ჰო, ირთავ-მეთქი? დიახ, დაგვლოცეო. არა, ძმაო, უთხარ, გაქებენ, კარგი ხარ, მაგრამ მე შენ ქალს ვერ მოგცემ. შენ ცოლის თხოვნის შნო არა გქონია, იპრეულად ირთავ ცოლს და იმის ქრისტიანულად შენახვის შნოს ვინ მოგცემს-მეთქი. ცივად გავისტუმრე. ლუპუსტაცი, გული გამიხეთქა!.. ქალი უნდა მთხოვოს, მოსულა, მახარებს, „პრედლოჟენიაო“.

განათლებაო! ეს, განათლება-კი რა, რჯულისა და ადათის უკულმა გადმობრუნებაა, პირ-ქვე დამხობაა, სირცხვილია და სიკვდილი. როგორც სხვა და-სხვა ავადმყოფობა დროს არ მოსდევს, ისეც ეს უკულმართობა დროს ბრალია, ბრიყვები თითონ არიან, ხელი და პირი იმათკენ,—რომ თანდათან იმ ერთ ჭიანჭველასავით ღმერთი უწყრებათ.

გიჟი ხომ გინახავს, სერგო, ჭკუიდგანაც რომ შეიშლება და სახიდგანაც შეიცვლება. განა ეხლანდელს ხალხსაც ისე არ მოსდის? ჰხედავ როგორ გამოიცვალნენ სულ ერთიანად. აღარც უწინდელი ჭკუა, აღარც ყოფა-ქცევა, აღარც ტანისამოსი; ენა ხომ სულ ერთიანად შერეულია. ტვინიც-კი სულ სხვა ნაირი ექმნებათ ეხლანდელს ხალხს. წმინდა გეურქი გამიწყრეს, თუ ეხლა მე და ჩემს შვილს, ხომ ჩემი შვილია, ერთ ნაირი ტვინი გვექნება. აშკარაა, ან იმისი იქნება გადაბრუნებული, ან ჩემი. რამ მოიტანა ეს, თუ არ
დევ რა, ღვთის წყალობ
რობთ. აი ეს ახალი წელ
იცის რის მოციქულია. ფიქ
შევდივარ, ლამის ჭკუიდგა
რა, ძმავ, ჩქარა გავუდგე
ზას, ჩვენი მკვიდრი ბინ
ლი მოვნახოთ, თორ
ისიც მოიტანოს დრომ,
ცვლულები ცოცხლივ და
ვინ იცის,ერთხელ ხომ გვერდი
ამ დუნიამ ჩვენს თვალ-წინ,
არ შეიძლება, რომ ეხლა სულ
თიანად გადაბრუნდეს, ან
მოვიდეს, ან ცეცხლის წვიმა
ფრთიანი გველ-ვეშაპები გაჩნდე
სულ ერთიანად დასჭამონ ხალხი
ხალხი ისე ახირებულა, რომ
ბოლო მაინც ეს არის!..

ა.

ახალი ამბავი

**. სასიხარულო ამბავი უნდა მი
ვულოცოთ ჩვენს მკითხველებს
ახალ წელიწად დღეს: დღეს დაუ
რიგდ ხელის მომწერთ პირველი წ
გნი „მოამბისა“.

*** ვენ მოგვივიდა მეორე კრებული
რუსეთის ახალგაზრდა პოეტის ბ-5
ლ. ვლიჩკოს ლექსებისა. სხვა-და-
სხვა საკუთარს ლექსებს გარდა, ამ კრებულში მოთავსებულია ზოგიერთი ლექსი აკაკისა და ილია ჭავჭავაძისაცა. აკაკის ლექსებიდგან ველიჩკოს გადუთარგმნია შემდეგი ლექსები: ხალხური, ბულბული, ღიმილი, სიყვარული, სალამური, ხარაბუზა და ფუტკარი და გედი. ილია ჭავჭავაძის ლექსებიდგან გადუთარგმნია ლექსი ჩემს მუზას. კრებულის ბოლოში დაბეჭდილა თარგმანი აკაკის ისტორიულ დრამატიულ პოემა „თამარ-ცბიერი“-სა რომელსაც მთარგმნელი უძღვნის თ. ა. ი. სუმბათაშვ[illegible]. ამათ გარდა კრებულში დაბეჭდილია [illegible]ქსად თარგმანი საბა-სულხან ორბელიანის ერთის ამბისა „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და სხვა-და-სხვა ორიგინალური ლექსები ავტორისა, შესახებ ჩვენის ცხოვრებისა, როგორც [illegible]ლითად: ძალა“ (სომხური ლეგენდა), „თამარ-მეფე“ (ქართული [illegible]

გამოეწყობოდა ხოლმე თივთიკის ჩოხით, ვერცხლის ქამარს შემოიკრავდა, ხელსახოცს ტკბილეულობითა და ხილით აავსებდა და წაიღოდა თავის დანიშნულ მშობლებისას. განა ენით გამოითქმის ის გულის ძგერა და სიხარული, რომლითაც მიუახლოვდებოდა ხოლმე ელისაბედის მამის სახლს, სადაც ლოყებ-აწითლებული ელისაბედი მორცხვის ღიმილით დახვდებოდა და ქალწულებრივის მორიდებით ეკრძალებოდა... იმათი ქორწილი? განა დარჩა-ღა ვინმე ნაცნობი და უცნობი, ნათესავი და შორეული, რომ იქ არა ყოფილიყო?.. სამი დღე ზურნასა და დაირა-ნაღარას დაყენებული ჯიბრი ჰქონდათ ერთმანეთ შორის და ხან ერთი უმაღლებდა ხოლმე ხმას, ხან მეორე. მერე პირველი ქალი, ნათლობა, მეორე შვილი, ძეობა... ლხინი ლხინს მოსდევდა... მაგრამ ვაგლახ, რომ ეს შრომით სავსე, მაგრამ ტკბილი ცხოვრება ბოლოში გამწარდა... თვალის სინათლის დაკლება, სიკვდილი ჯერ ერთის შვილისა, მერე მეორისა, მესამისა... შავი სარტყელი საბრალო ელისაბედის მიცვალების გამო,.. მწუხარებით დაუსინათლოვება და ოჯახის პირ-ქვე დამხობა, დაუკულმართება, დაღუპვა... მოხუცის ფიქრი წარსულ ბედნიერება-უბედურების წარმოდგენამ გაიტაცა, აწმყო-კი დავიწყებას შთაენთქა. წარსული ბედნიერება ხომ აწმყო უბედურების ნუგეშია და მოხუცსაც, იმის მიხედვით, კარგის ხსოვნაში იყო, თუ ავისა, ხან ნუგეშის მკრთალი ღიმილი გადაურბენდა ხოლმე დამჭკნარს, დაღარულს და უსინათლოობით დამახინჯებულს სახეზედ, ხან მწუხარების ნისლი და ღრუბლი.

პაწია-ღა?..

მაგრამ აგერ ტკბილეულობის დუქანთან მოგრიალდა მშვენიერი საშინაო ეტლი, რომლიდგანაც ქურქში შეხვეულ-შებურვილი კაცი გადმოხტა და ორი მშვენივრად მორთული და დაფუნებული ყმაწვილი, ქალ-ვაჟი, გადმოსხა. შევიდნენ მაღაზიაში და ყმაწვილებმა მხიარულად დაუწყეს ჩხრევა და რჩევა ისე ლამაზად დალაგებულს შაქრის ხილსა. რაც მოეწონებოდათ, ცალკე გადასდებდნენ და ისევ დაუწყებდნენ ხილს ფათურსა და ჩხრეკას. ბავშვები მხიარულად ყიჟინებდნენ და ჰკიოდნენ. თვალ-გაფაციცებულნი ნოქარნი თავზედ დასტრიალებდნენ ამ ძვირფასს სტუმრებს და ხან ერთს ხილს აჩეჩებდნენ ხელში, ხან მეორეს...

ჩვენმა პაწიამ თვალს წყალი უხვად დაალევინა და ყოველი შაქრის ხილი ისეთის გულ-დადებით გასინჯა, რომ თითქმის არა გამორჩენია-რა. ბავშვი მორჩა კიდეც ერთის სარკმლის დათვალიერებას, მეორე სარკმელთან გადავიდა და თან გადაიყვანა თავისი მოხუცებული მამაც, რომელიც იმავ ფიქრებში გართული ახლა სწორედ დუქნის კარების წინ იდგა. პატარამ შურით შეხედა ქურქიანის შვილებს, რომელნიც ისე თავისუფლად ირჩევდნენ შაქრის ხილს, შეხედა და იმის ნორჩს გონებას ქვეყნის დიდ პატარაობის გამო სამდურავი ეკლად შეესო. რად არის ასე, ჰფიქრობდა იგი, რომ ერთი ძალიან მდიდარია და მეორეს სულ არა აქვსრა; ერთს სიმდიდრე დაბადებითვე დაჰყვება და მეორე მოხუცებაშიაც ქუჩა-ქუჩაა იძულებული წანწალს, რომ ორიოდე გროშის შეძენა შეიძლოს და მშრალი ლუკმა პური მოიპოვოს?! ნეტა ეს უსწორ-მასწორობა ღმერთს გაუჩენია, თუ კაცის მოგონილია? განა არა სჯობდა, რომ ამ ქვეყნის სიკეთე თანაბრად ყოფილიყო ყველასათვის და ერთის უზომო სიხარული მეორეს მწუხარებას დასდებოდა მალამოდ?!. ჰფიქრობდა პაწია და იმის ჯერ უმანკო, ცხოვრების ბიწ-შეუხებელს გონებას გზა ვერ გაეგნო ამ ფიქრთა ხვეულსა და კლდე-ღრეში.

მამა-შვილი ისე გაართო და გაიტაცა ფიქრმა, რომ კარგა ხანს უძრავად იდგნენ გახევებულნი. მამა ვერასა ჰხედავდა და შვილსაც, თუმცა დუქნის სარკმლისათვის მიეშტერებინა თვალები, თვალის ჩინი თავის მწვავე ფიქრებისათვის გაეყოლებინა და მგრძნობელობა იმასაც დაჰკარგვოდა.

დიდხანს იქნებოდნენ ასე ფიქრის ბურუსში ახვეულნი, ერთს გარემოებას რომ არ გამოეფხიზლებინა ორივენი. წრაფად გაიღო დუქნის კარი, მრდულივით გამოვარდა ნივთებით ხელში ნოქარი, პირისპირ დაეტაკა უსინათლოს, გადააქცია, [illegible] გადააბიჯა და ეტლში ჩააწყო მუშტრის ნავაჭრი საქონელი. ქურქიანიც გამოვიდა თავისის ყმაწვილებით, ჩასხდნენ შიგ და მშვენიერი ეტლი უწინდელისავე სიჩქარით გაგრიალდა და გაქრა.

გონებაზედმოსულმა შვილმა ძლივსძლიობით წამოაყენა ფეხზედ თავისი მოხუცი და უსინათლო მამა, რომელმაც წამოდგომისათანავე ერთი ისეთი მძიმე ამოიოხრა, თითქოს გულიც თან ამოაყოლაო. ამ მძიმე ოხვრას ბანი მისცა სუსტმა, პაწიას პატარა გულიდგან ამოხეთქილმა ოხვრამ.

შენთვის მომინდვია, მკითხველო, იმის გამოცნობა, რა ამოიტანა თან ამ ორმა ოხვრამ, ორის ტანჯულის გულიდგან ასე მწყობრად ამომხდარმა...

თ-ანი

ზენდა), „ძლევა“ (თათრუ- ნდა თამარ-მეფის შესახებ). ფენივრად დასტამბულია და მან. 50 კაპ.

** ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ. წიგნს ავტორი უძღვნის სწავლულს ორიენტალისტს, რუსეთის სამეცნიე- აკადემიის წევრს მ. ბროსეს ყებას. ეს ახალი საისტორიო ხზულება ფრიად დიდი ტანის წიგნია, ითქმის „ქართლის ცხოვრების“ რველ ნაწილის ოდენი, შეიცავს 48 გვერდს აკადემიის ასოთი ნა- დს მრავალ შენიშვნა-სხოლიოების თვით ტექსტში. წინ უძღვის ცელი სამოც-კაბადოვანი წინასი- ყვაობა, რომელშიც ავტორი განმა- ტავს თავის წიგნის საგანს და სალას საქართველოს ისტორიისა ა ლიტერატურისას 1213 წლამდე ა კრიტიკის თვალით არჩევს ჩვენს ტიანეს „ქართლის ცხოვრების“ პირ- ლს ნაწილს. სტამბის მხრით ეს შველებელი წიგნი ფრიად სუფთად ა ლამაზად არის დაბეჭდილი და არს 3 მან.

** გამოვიდა და დაურიგდება ხელის-მომწერლებს პირველი ნომერი „ჯეჯილისა“. შინაარსი: 1) ახალი ელი, შ. მღვიმელისა; 2) ბასილას ამბობი, სახალწლო არაკი, ნიკო უციშვილისა; 3) ზამთარი მთა- ი, სურათი ვაჟა-ფშაველასი; 4) ატარა თომას თავგადასავალი, ზღა- ული ამბავი (ფრანგულით.) ან. —წ—ისა; 5) კრუხი და ჩხი- ი, ლექსი ბაჩანასი; 6) ვა- ი, გ. გ—ლისა; მდიდარი და გლა- , ხალხური ლექსი. 7) სათამაშ- ბები, მეორე ამბავი, თ. რა- მვილისა; 8) პატარა ანასტასია, ექსი როს-იმერლისა; 9) დაუფა- ებელი ფრინველი, იაკობ სვიმონიძისა; 10) მაიმუნების ჭკუა-გონე- ა. ილიკოსი; 11) მხიარული საქმა- რი, დუტუ მეგრელისა; ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსი, ზმა, ჩქარა-გამოსათქმელი, აკროსტიხი, ებიტეზიტ, შარადა და რებუსი.

** ჩვენ მივიღეთ ჩვენის კორესპონდენტის ბ-ნ ბაკურციხელისაგან მომავალ დედათა სკოლის სასარგებლოდ 3 მან.

** ჩვენ მოგვივიდა წლიური ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოქმედებისა 1-ლ სექტემბრიდამ 1892 წლისა 1-ლ სექტემბრამდე 1893 წლისა. ამ ანგარიშში დაწვრილებით არის მოხსენებული, რაც-კი რამ გაუკეთებია წლის განმავლობაში საზოგადოებას, ან თუ ვის რით დახმარებია, ვისთვის რა წიგნი, რომელ სკოლისათვის რამდენი დაუხარჯავს, რა შემოსვლია და რა გასავალი ჰქონია წლის განმავლობაში, რამდენი წიგნი გაუყიდნია, ან გაუცია საკომისიოდ და რა ქონება აქვს დღეს ფულად და წიგნებად. ერთის სიტყვით, ანგარიში სავსეა მრავალის საინტერესო ამბითა და გარემოებით. მკითხველი არას დაჰკარგავს და, პირიქით, დიდად ისიამოვნებს ამ ანგარიშის გულ-დასმით გადაკითხვით.

** გაზ. „Новое Время“ ამბობს, რომ შინაგან სამინისტროსთან მინისტრის ამხანაგის ვ. კ. ფონ-პლევეს თავმჯდომარეობით შემდგარი კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს გადასინჯვა ერის სურსათის მხრივ უზრუნველ-ყოფის წესდებისა, ჩქარა განიხილავს ამავე საგნის გამორკვევას იმ ადგილებისათვის, რომლებშიაც ეს წესდება არ იქნება შემოღებული. ასეთი ადგილია, სხვათა შორის, ამიერ-კავკასია. განზრახვა აქვთ ამ საგნისათვის ამიერ-კავკასიაში ფულად და სურსათად გარდასახადი შემოიღონ.

** ნავთის მწარმოებელთა კავშირს არავითარი შეღავათი არ მიეცემა. გაზ. „Бирж. Вѣд.“-ის სიტყვით, ბ-ნს ფინანსთა მინისტრს თანხმობა არ გამოუცხადებია არც იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ გადასატანი ფასი დაეკლოთ და არც იმისა, რომ მთავრობისაგან სუბსიდია მიეცეთ. ამ უარმა დიდად იმოქმედა თურმე ნავთის მწარმოებლებზედ. ძმ. ნობელმა უარი სთქვეს, კავშირში მონაწილეობას არ მივიღებთ, გავაუქმოთ უკვე შეკრული პირობაო, მაგრამ ბევრნი სხვა მონაწილენი არა თანხმდებიან და ამბობენ, რომ უეჭველად უნდა განხორციელდეს კავშირი, რადგან პირობის აღსრულება მთავრობის მიერ შეღავათის ბოძებისაგან არ იყო დამოკიდებულიო. თუ ვინიცობაა ძმ. ნობელმა თავისი უარი არ გააბათილეს და შორს გადაუდგნენ კავშირს, ამ კავშირის სხვა მონაწილეთ გადასწყვიტეს, ვუჩივლოთ და ჯარიმა გადავახდევინოთო.

** სამეგრელო: ამას წინად სამეგრელოში ერთმა ვაჭარმა მოიტაცა ერთ სოფლიდამ ყმაწვილი ობოლი ქალი, ესე 13—14 წლისა. ვაჭარს თან ახლდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. მოტაცებული ბავშვი საშინლად ჰკიოდა, იხოკდა პირი-სახეს და იგლეჯდა თმებს, მაგრამ მაინც მომტაცებელთ გული ვერ მოულბო. მისმა მამის ნათესავებმა გამოიდეს თავი, დაედევნენ გამტაცებელთ და წაართვეს. ამბობენ, რომ გამტაცებელი სამართალში იქნება მიცემული, თუმცა თითონ ძრიელ სცდილობს, ეხვეწება გავლენიან თავად-აზნაურთ, რომ საქმე მოსპობილ იქნას. აქეთ ქურდობის ამბავი არ ახალია—ძველია. მეტადრე ცხენებისა და საქონლის პარვაა უფრო ხშირი. 8 დეკემბერს მოხდა ქურდობა სოფელ ხეთაში, 19 დეკემბერს კიდევ, დეკემბერშივე სოფელ ხობს სახლი გასტეხეს ქურდებმა, დეკემბრის 17 ხეთაშივე აბრაგებსა და მცხოვრებს შორის ასტყდა ღამე თოფების სროლა, არავინ-კი დაზარალებულა. ავაზაკებს დაიჭერდნენ, მაგრამ ერთმა ახალგაზდა კაცმა დაჰმალაო.

სიმინდი ბლომად გვაქვს, მაგრამ ფასს არავინ იძლევა. ფუთში ორ აბაზზედ მეტის მძლეველი არავინ არის.

** აფხაზეთი: ჩვენკენ ძრიელ გახშირდა ქურდობა. სოფელში ლამის მეტის-მეტად გაგვიჭირდეს ცხოვრება. აღარ გაგონილა ამდენი პარვა საქონლისა. ერთს სამამასახლისოში ამას წინად ერთს თთვეში თითქმის ორასი ქურდობა მოხდა. ჩივილსაც ველარავინ ჰბედავს: ჯერ უარესისა ეშინიან და მერე, სანამ საჩივრად წავა და სახლში დაბრუნდება, იმასაც წაიღ-წამოიღებენ, რაც ოჯახში აქვს. ერთს შეამჩნიეს ცხენი, მოვიდნენ ქურდები და უნდა მოეპარათ. ამათ გარდა, სხვა ქურდებიც მოვიდნენ იმ სახლში, ჰნახეს გარედ შეკაზმული ცხენები, მოასხდნენ ზედ და გაუდგნენ გზას. პირველად მისულებმა ვერც კარგი ცხენი წაიყვანეს და თავისებიც დაჰკარგეს.

ერთის სიტყვით, ჩვენი საქმე ძალიან გაჭირვებულია. ხან მოისპობა ქურდობა და ავაზაკობა, გაყუჩდება საქმე, ხან ისევ იფეთქებს უარესის ძლიერებით. არ ვიცით, როგორ და რა ნაირად უნდა გვეშველოს. ცხადია, თუ ისევ მცხოვრებლებმა არ ვიზრუნეთ და არ გავიმაგრეთ სოფელი, სხვა ვერავინ ვერას გვიშველის.

შეცდომის გასწორება

გუშინდელს ნომერში იმ წერილს, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ დუშეთის საზოგადოებამ შეაგროვა სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ ფულიო, შეცდომით გვარი და სახელი არ ეწერა წერილის მომწერისა. უნდა სწერებოდა გრ. კორინთელი.

სიტყვა,

თქმული ალ. ყაზბეგის დასაფლავებაზედ ს. სტეფან-წმიდას.

პატიოსანნო მსმენელნო!

დღეს ყველა ქართველს გვმართებს გლოვა და ტირილი, დღეს გათენდა მოხევეთათვის უმზეო დღე; მხოლოდ დღეს დადგა ჩვენთვის ცივი და მწვავი ზამთარი, დღეს დავკარგეთ მოხევეთ ის ვარსკვლავი, რომელიც სიბნელეში თვისის შუქით გვინათებდა. დღეს დავკარგეთ ჩვენთვის თავდადებული, გულ-შემატკივარი და ძვირფასი შვილი საქართველოსი ალექსანრდე მიხეილის ძე ყაზბეგი.

განსვენებულმა თავისი სიცოცხლე შემოგვწირა, თავი დადვა და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ განათლება მოეფინებინა თავის უმეცარ მოძმეთათვის. ბევრი სწერა და იღვაწა ჩვენთვის, ბევრს ეცადა ჩვენის მჭიდროებიდამ გამოყვანისათვის. ჩვენს გამო სრულიად მოუსვენრობას მიეცა. განსვენებულს ჩვენს გამო ყველა ფუჭად მიაჩნდა: მისთვის არ იყო სასიამოვნო არც დიდი მამულები, არც ბევრი ფული და არც მდიდარი ცხოვრება. მხოლოდ განსვენებულს აგონდებოდა მუდამ და დაუვიწყრად თავისი სამშობლო და მოძმე მოხევენი, რომელთა გამო დიდი სიმდიდრე დაჰკარგა და დიდს შეწუხებას მიეცა. ბევრი ტანჯვა, სიცივე, შიმშილი და უბინაობა აიტანა და მწერლობას-კი არ უმტყუნა უკანასკნელ დღემდის, რომლის ნაწერებსაც მწყურვალებით კითხულობს მეცნიერება და დიდი სახელი განითქვა განსვენებულისა საზოგადოებაში. თავისი სიცოცხლე წერას მოანდომა და თავი შესწირა.

ნეტარება შენ, განსვენებულო და ძვირფასო შვილო მამულისაო ალექსანდრევ, რომ აღასრულე ვალი შენი და დარჩა კვალი შენი დასანატრებლად ყოველ კეთილ ქართველისათვის. შენ გვშორდები და უძვირფასესნი და სანეტარო ღვაწლნი შენნი მუდამ თვალ-წინ გვექმნება შენდა მოსაგონებლად.

უბედურება მხოლოდ ის არის, რომ დიდი და პატარა ვდგევართ შენს წინაშე და საუკუნოდ გესალმებით მდუღარე ცრემლის დენით. მშვიდობით, საუკუნოდ დაუვიწყარო ალექსანდრევ. მხოლოდ ამ სიტყვებით-ღა გეთხოვებით, რადგან არ ძალგვიძს იმ ამაგისა და სიკეთის დაფასება, რაც ჩვენს გამო გადაგიხდია. აწ დაუნდობელმა სიკვდილმა უდროოდ მოგიღო ბოლო და არ დაგაცალა სრული განხორციელება შენის სურვილისა, ვითარცა არ დასცალდა განსვენებულს დიმიტრი ნიკოლოოზის ძე ყაზბეგს, რომელმაც თან წაიღო უძვირფასესი განძნი საქართველოსთვის და რომლის აზრი გვექნებოდა წმიდა სახარებასავით სახმარებელი.

მზეც დავკარგეთ და მთვარეცა,
დავრჩით დიდს სიბნელეშია;
სიბნელის ქარმა დაგვბერა,
ყველა მოგვხარა წელშია,
ნეტა ვინ იზამს სიკეთეს,
კიდევ გაგვმართავს წელშია,
ვინ გამოჩნდება სანდოსვით
ჩვენ საწყალ მოხევეშია?
მთას შევცქერთ ყინულიანსა,
მოველით ჩამოდნობასა...
ნეტა ვინ მოგვცემს იმედსა,
ვინ გვიზამს სანდროობასა?

მშვიდობით, მშვიდობით პატიოსანო და ძვირფასო მამულიშვილო! არ დაგივიწყებთ სამშობლო ორივე ერთად ხსენებულ ბიძაშვილთ. აწ მიიბარე გვამი ესე გაუმაძღარო მიწავ და დღეგრძელ იყოს ხსენება და კურთხევა მიცვალებულისა ამისა. ამინ.

სვიმონ იაკობის ძე შადური

22 დეკემბერი.

კორესპონდენცია

ჭოროხის ხეობა, 23 დეკემბერს. ამას წინად წასულა ბათუმში ერთი მოხუცებული კაცი 75 წლისა და თან წაუღია 25 ლირაც. იქ ეგულებოდა თურმე დაპატიმრებული თავისი შვილი, რომელიც დაკარგულა. ერთს თვეს უძებნიათ ნათესავებს ყველგან და ვერც ცოცხალი, ვერც მკვდარი ვერ უპოვნიათ. მოხუცი დაბრუნებულა ბათუმიდგან; თან გამოჰყოლიან ორნი ართვინის ბოქაულთან დესეტნიკებად ნამყოფნი. მოხუცი სახლში აღარ დაბრუნებულა. ამბობენ, რომ იმ დესეტნიკებმა მოჰკლესო. ეს მით უფრო საფიქრებელი არის, რომ ერთი მათგანი შეიპყრეს, ხოლო მეორეს გაქცევა მოუსწრია.

20 დეკემბერს სოფ. მარადიდის უფროსის სასამართლოს წინ დასჭრა ხანჯლით სოფ. ხებას მცხოვრებმა ჰაჯი-ალი-სოფი-ოღლიმ თავისივე მეზობელი მემედ-თაფარ-ოღლი. დამნაშავემ გაქცევა მოინდომა, მაგრამ შეიპყრეს და სამართალში მისცეს. მეზობლებს, როგორც ამბობენ, უსიამოვნობა მოუვიდათ ყმაწვილ გასათხოვარ ქალის გამო, რომელსაც დამჭრელმა მანდილი მოჰხადა, რის გამოც, ჩვეულებისამებრ, ის ქალი სხვას ველარ მისთხოვდებოდა.

22 დეკემბერს ერთი ნავი დაიღუპა ჭოროხში. ნავი თურმე ძლიერ იყო დატვირთული, თოკი-კი დამპალი ჰქონოდა, ვერ გაუძლო, როცა ნავს პირ-აღმა ეწეოდნენ, გაწყდა, ნავი გაჰქანდა უკან და დაეჯახა კლდეს. ნახევარი საქონლისა სულ დაიკარგა, ნახევარი-კი, როგორც იყო, ამოიღეს წყლიდამ, ასე 500 მანეთისა. თითო ნავი ერთს გზაში 50 მანათამდე ფულს იღებს, ნავი 100—120 მან. ჰღირს და თოკი-კი 1 მან.—1 მანეთი 50 კაპ. რა იქნება, რომ მენავეთ დაავალებდნენ, თთვეში ერთხელ ახალ-ახალ თოკს იყიდდნენ ხოლმე, თორემ ასეთს უადგილო ეკონომიას მეტად დიდი ზარალი სდევს თანა და ბევრს წუთი სოფელსაც ასალმებს.

ი. ჯაიანი

სოფ. ბორჩხა.

რუსეთი

მონასტრების საერთო რიცხვი იმპერიაში, როგორც უწმიდესის სინოდის ცნობებიდგანა სჩანს, შვიდასამდეა. ამ რიცხვში ოთხას ოცი მამათა მონასტერია, მაგრამ არიან ისეთი გუბერნიები, სადაც მონასტერი სრულიად არ არის. მაგალითად: ლიფლიანდიაში, ვისლის განაპირის მხარეს, ფინლიანდიაში, სადაც ვალამის და კონევეცკის მონასტრები არის მხოლოდ; ბაქოსა, განჯისა და ერევნის გუბერნიებში; დაღისტანისა და ყარსის ოლქებში, სადაც უმეტესად სომეხ-გრიგორიანები სცხოვრობენ. არ მოიპოვება სრულიად მონასტერი. არ არის აგრეთვე მონასტერი შორეულ აღმოსავლეთსა და თურქესტანის საგუბერნატოროში.

ორიოლის ქალაქის საბჭომ და იქაურმა საგუბერნიო ერობამ ერთ-ხმად დაადგინეს იშუამდგომლონ, სადაც ჯერ არს, მიეცეთ ნება საყოველთაო ხელის-მოწერის გამართვისა ი. ს. ტურგენევის ძეგლის ასაგებად ორიოლში.

ამ წლის ოქტომბრის 18-ს ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც საჭიროდ სცნო, რომ ყოველი მოსამსახურე ამ სამინისტროსი იყოს სწავლა დამთავრებული უმაღლესს სასწავლებელშიო. ამ ცირკულიარმა დიდი მოძრაობა გამოიწვია იუსტიციის სამინისტროში მოსამსახურეთა შორის, რადგანაც ეს უკანასკნელი რიცხვი უმთავრესად შესდგება უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულ კაცებისაგან; ბ რადგანაც ამათი ცხოვრება ნივთიერად უფრო ცუდად არის მოწყობილი, ვიდრე საფინანსო სამინისტროში მოსამსახურეთა და ამასთანავე იუსტიციის უწყებაში მსახურნი უფრო ძნელად ეღირსებიან ხოლმე სამსახურში წარჩინებას და ნივთიერი გაუმჯობესობაც ხომ ამასთან არის შეკავშირებული. „იურიდიულ გაზეთს“ მიუღია ცნობა სხვა-და-სხვა მხრიდგან, რომ იმათ, ვინც იუსტიციის წოდებაში მსახურებდა, უკვე თხოვნა შეიტანეს, ფინანსთა სამინისტროში მოგვეცით ადგილიო.

ამ დღეებში პეტერბურგს ესტუმრა ყველასაგან ცნობილი და პატივცემული ჩვენის დროის ქველ-მოქმედი მისს კეტ მარსდენი. ქ-ნი მარსდენი მიემგზავრება ციმბირს, რომ განაგრძოს თავისი მადლიანი და წმიდა საქმე: აღმოუჩინოს შემწეობა სნეულთა და საპყართ. ინგლისის დედოფალს მიუცია მისთვის თავის ხელ-მოწერილი ბარათი, რომლითაც სთხოვს ყველას, ვისაც-კი ეს ქალბატონი მიჰმართავს, აღმოუჩინონ შემწეობა. ეს ძვირფასი სტუმარი კნეინა შჩერბატოვისას არის ჩამომხდარი.

უცხოეთი

დიდთა სახელმწიფოთა პოლიტიკა.

ევროპის გაზეთებმა უკვე ამ თორმეტის დღის წინად გადაიხადეს ახალი წელი და ბევრმა მათგანმა იკითხა თავისდა თავად, რას მოგვიტანს ეს ახალი წელი, ომი იქნება, თუ ესეც მშვიდობიანად და უწყინარად ჩაივლისო?..

ევროპის თითოეულს სახელმწიფოს და ყველას ერთად რომ ჰკითხოთ, ყველა მათგანი მშვიდობიანობას არის მოწადინებული და, თუ იარაღს ისხამს, თუ სამხედროდ ეწყობა და ემზადება, მხოლოდ იმიტომ, რომ მტერი მოიგეროს და მზად იყოს, ვინიცობაა ევროპაში ომი ასტყდა. გაზეთები სულ იმის თქმასა და ლაღადისში არიან, რომ ევროპაში არც ერთი სახელმწიფო არ არის ეხლა სისხლის ღვრასა და ომს მოწადინებულიო—ყველას მშვიდობა სწყურიან, ყველა ერიდება ომს, ყველა უფრთხის მახვილის აღებასაო.

საქმით-კი ერთის, იტალიანურ გაზეთის არ იყოს, სულ სხვა სჩანს. ჯერ მარტო ის გარემოებაა საყურადღებო რომ, ამ გაზაფხულს ბევრს სახელმწიფოს განზრახვა აქვს ალლუმები დაიწყოს, თუმცა აქამდე ალლუმები ყოველთვის შემოდგომაზედ იმართებოდა. მეორე ისა, რომ სტამბოლი ამ ჟამად გაფაციცებით ამაგრებს ბოსფორს. მესამე—სამთა მოკავშირე სახელმწიფოს გაზეთებმა გამოაცხადეს კიდეც ეჭვიც არა გვაქვს, რომ საფრანგეთი და რუსეთი ოფიციალურად შეუკავშირდნენ ერთმანეთსაო. მეოთხე: გლადსტონის სამინისტროს განზრახვა აქვს თებერვლის თვეში ახალის ხარჯის პროექტი წარუდგინოს პარლამენტს ფლოტის გასაძლიერებლად. ამ ახლო მომავალშიაც სახელმწიფოს განზრახვა აქვს ას-ოცი მილიონი გადასდოს ფლოტის გასაძლიერებლად. ამას გარდა, თუმცა ავსტრიის იმპერატორს ომი სასურველად არ მიაჩნია, მაგრამ თუ იძულებულ იქმნა, არ დაახანებს ხელის გამოღებას რომელიც თავისის სამხედრო მომზადებით სხვა სახელმწიფოს არ არის ჩამორჩენილი. ყოველივე ეს ნათლად აღნიშნეს ევროპის გაზეთებმა ახალ წლის პირველ დღეს და თან ამას ისიც დასძინს, რომ ამ ჟამად დასავლეთ ევროპაში სრული თანასწორობა ჰსუფევს და არც მოსალოდნელია, რომ ამ ახლო ხანებში გამწვავდეს რითიმე საქმეო. ეს ყველა კარგი, მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, ფიცი გვწამს და ბოლო-კი გვაკვირვებს: თუ სურვილია მშვიდობიანობისა, ეს გარდამეტებული შეიარაღება რაღაა? მით უმეტეს ეხლა, როდესაც თითქმის ევროპის ყველა სახელმწიფოს ათასი შინაური საქმე აქვს მოსაწყობი და მოსარიგებელი? ანარხიზმი საშინელ წყლულად გადაექცა საფრანგეთს, იტალიას, ისპანიას და პორტუგალიას. გერმანიის მუშათა საქმე დიდ საზრუნველ და სახიფათო საგნად გადაქცევია. ავსტრია-კი, რომელიც თავის გარეშე ქვეშევრდომთა მზრუნველობას იჩენს ისიც უფრო მეტად, ვიდრე ძალ ღონე შესწევს, ემზადება საომრად. რჩება მხოლოდ ერთად-ერთი ინგლისი. იგი სდგას შეუშფოთრად და არავითარი შიში არა აქვს ანარხისტებისა, რადგან ეს ქვეყანა თვით თავისისავე ვრცელისა და საფუძვლიანის კონსტიტუციით სრულიად უზრუნველ-ყოფილია შინაურ ამბოხებისაგან.

დეპეშა

30 დეკემბერი

პეტერბურგი. ზღვათა სამხედრო სასამართლოს დროებითმა განყოფილებამ განიხილა საქმე იმის გამო, რომ პირველ ხარისხის კრეისერი „Витязь“-ი დაეჯახა კლდეს ლაზარევის ნავთსადგურში შესვლის დროს და ამის გამო დაიღუპა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო პირველ ხარისხის კაპიტანი ზარინი: როცა ჩრდილო სრუტის გზით მიდიოდა ლაზარევის ნავთსადგურში, ძალიან ნელა უნდა გეტარებინა კრეისერი; კრეისერის წინ ორთქლის შლიუპკა უნდა გქონოდა, რომელიც სიღრმის მაჩვენებელიაო, და სრუტეს შუაგულ უნდა გევლოვო. სასამართლომ გადუწყვიტა, გადაყენებულ იქმნას გემის გამგებლის თანამდებობიდამაო. ყველა სხვანი, ვისაც ამ საქმეში ჰბრალდებოდა რამ, გამართლებულ იქმნენ.

პარიჟი. ვალიანს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. ვალიანმა უარი სთქვა და ხელი არ მოაწერა სააპელაციო საჩივარს; მსჯავრ-დადებულს წაიყვანენ „ლა როკეტტის“ საპატიმროში. რესპუბლიკელთა და კონსერვატორთა გაზეთებს მოსწონთ ასეთი გარდაწყვეტილება; რადიკალებისა და სოციალისტების გაზეთები-კი ამბობენ, რომ თუმცა ეგ გადაწყვეტილება შეეფერება ლოღიკას, მაგრამ მაგით სოციალური საქმე მაინც ვერ გადაწყდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გარიგებისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,49	7,51	— „
ტამოჟნის კუპონები	149½	150¼	— „
მანეთიანი ვერცხლის ფული . . .	— „	— „	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . .	— „	— „	246½
—მეორისა . .		— „	225½
4% მესამე სესხისა. .	-- „	— „	— „
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი .	-- „	— „	192
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%.	100¾	— „	— „
5%.	98	— „	— „
ქუთაისის ბანკისა 6%.	100¾	— „	— „
5%.	98	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	97¾	— „	— „

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

განცხადებანი

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—9)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—143)

ამხანაგობა
„ჰიგიენა“
ლიზოლინი
ცუდის სუნის მომსპობი წამალი
ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება
პეტერბურგის
სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან
С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.

გამოსადეგვ ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდ

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულ ბანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სი ფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვ ბისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბ ვშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებან დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი დ ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკე დისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) დ შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილი სი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფას ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1894 ГОДЪ.
(Сорокъ девятый годъ изданія).

„КАВКАЗЪ“.

Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТ НЪ.

Подписня цѣна:

		Городская.	Иногородская.	Заграничная.
Ян.	12 мѣсяцевъ	11 р. 50 к.	13 руб.	18 р. 40 к.
„	11 „	11 „ — „	12 „	— „
„	10 „	10 „ — „	11 „	— „
„	9 ›	9 „ — „	10 „	— „
„	8 „	8 „ — ›	9 „	— ›
„	7 „	7 „ — „	8 „	—
„	6 ›	6 › — ›	7 „	10 „
„	5 я	5 „ — „	6 „	— ›
„	4 мѣсяца	4 › 50 „	5 „	— „
„	3	3 „ 50 „	4 „	6 „
„	2	2 „ 50 „	3 „	— „
„	1 мѣсяцъ	1 „ 50 „	1 „ 75 к.	2 „

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сро ки отъ однаго до двѣнадцати мѣсяцевъ.

Желающіе подписаться съ разсрочкою вносятъ 3 р. при подпискѣ по 1 р. къ первому числу каждаго послѣдующаго мѣсяца до погашенія все го причитающагося платежа.

Плата за объявленія (со строки петита или зани маемаго ею мѣста); **на послѣднихъ страницахъ**: съ мѣстныхъ объявле ній (кавказскихъ)—6 коп., съ прочихъ—10 коп., за каждый разъ. **На первыхъ страницахъ** вдвое. За большія или многократныя объя вленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 8 рубле съ тысячи.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА“ Тифлисъ Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.

„ნევის პაპიროზები“
დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“
„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ სა პ. ოდეკ.
სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.
„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარაღს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.
საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—23)

Доз. ценз. Тифлисъ, 31-го Декабря 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე